ცვლილებები ძალაშია 20/01/2016–დან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საბანკო მომსახურების პირობების მე-2 მუხლის (ზოგადი ნაწილი) 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„26. კლიენტი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს გამონაკლისების ნუსხაში (აღნიშნული ნუსხა ხელმისაწვდომია სს „პროკრედიტბანკის“ ნებისმიერ ოფის(ებ)ში და ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.procreditbank.ge) შეტანილ საქმიანობათა ჩამონათვალს და წინამდებარე დოკუმენტით კლიენტი ადასტურებს, რომ არ ეწევა და არც მომავალში დაკავდება გამონაკლისების ნუსხაში მითითებული საქმიანობით/საქმიანობებით. კლიენტი ასევე ადასტურებს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია და ჩატარებული აქვს გამოკვლევა, ის იცავს და მომავალშიც დაიცავს საქართველოში მოქმედ ეკოლოგიურ, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმას.“

2. საბანკო მომსახურების პირობების მე-7 მუხლის მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„18. ბანკი უფლებამოსილია პასიური კლიენტის წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად, შეწყვიტოს მასთან გაფორმებული საბანკო მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულება და დახუროს ანგარიშები.“

3. საბანკო მომსახურების პირობების მე-11 მუხლის (ვადიანი ანაბარი) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ტიპის ანგარიშზე.“

4. საბანკო მომსახურების პირობების მე-12 მუხლის (მოქნილი ანაბარი) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ტიპის ანგარიშზე.“

5. საბანკო მომსახურების პირობების მე-13 მუხლის (ზრდადი ანაბარი) მე-6 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. მეანაბრე უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მაქსიმუმ ორჯერ დაარღვიოს ამ მუხლის 5 და/ან 5^1 პუნქტებით დადგენილი ყოველთვიური შენატანის განხორციელების ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რასაც მოჰყვება ამ მუხლის მე–8 პუნქტით განსაზღვრული შედეგები.“

„8. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებულ წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ტიპის ანგარიშზე.“

6. საბანკო მომსახურების პირობების მე-14 მუხლის (საბავშვო ანაბარი) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი.“

7. საბანკო მომსახურების პირობების მე-16 მუხლს დაემატა 46^1-ე პუნქტი და მე-5, მე-7, მე-17, 41-ე, 46-ე, 46^1-ე და 49-ე პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე შესაძლოა იყოს ერთი და იგივე, ან სხვადასხვა პირი. მაგ: ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათის შემთხვევაში ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, ხოლო იურიდიული პირის ბარათის შემთხვევაში – სხვადასხვა პირები. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ბარათის მფლობელისა და ბარათით მოსარგებლის უფლება–მოვალეობების მქონე სუბიექტიც ერთი და იგივე პირია.“

„7. ბარათზე მითითებულია ბარათით მოსარგებლის სახელი და გვარი, ბარათის მფლობელი კლიენტის დასახელება (მხოლოდ იურიდიული პირის ბარათზე), ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.“

„17. ტერმინი ,,საბარათე ანგარიში“ ნიშნავს ბარათზე მიმაგრებულ ანგარიშს. საბარათე ანგარიში შეიძლება იყოს ბარათის ძირითადი, ან დამატებითი ანგარიში:

- **ძირითადი საბარათე ანგარიში** –ძირითად საბარათე ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია პროკრედიტ ბანკის ბანკომატით, პოს-ტერმინალით, ინტერნეტით და არა პროკრედიტ ბანკის ბანკომატით ოპერაციების შესრულების დროს.

- **დამატებითი საბარათე ანგარიში** –დამატებით საბარათე ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პროკრედიტ ბანკის ბანკომატით ოპერაციების შესრულების დროს.“

„41. ბანკი უფლებამოსილია დახუროს ბარათი იმ შემთხვევაში თუ:

ა) დამზადებული ბარათი არ წაიღო უფლებამოსილმა პირმა ბარათის შეკვეთიდან სამი თვის განმავლობაში;

ბ) პოს ტერმინალის მეშვეობით სავაჭრო (მომსახურების) ობიექტის მიერ ან ბანკომატის მიერ დაკავებული/ამოღებული ბარათი უფლებამოსილმა პირმა არ წაიღო დაკავებიდან/ამოღებიდან 3 თვის განმავლობაში.

გ) ბარათის მფლობელმა არ დაფარა ბარათის მომსახურების საფასური 90 კალენდარული დღის განმავლობაში.“

„46. ბარათზე ბარათის მფლობელის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: საბარათე ანგარიშის (ძირითადი და/ან დამატებითი) შეცვლა, ბარათზე ანგარიშის მიბმა/მოხსნა, ბარათზე CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვა/ჩართვა, ბარათზე fallback ფუნქციის დაშვება/გათიშვა, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა, ბარათზე დღიური განაღდების/ხარჯვის ლიმიტის გაზრდა, ბარათის დახურვა. ბარათის დაბლოკვის უფლება ასევე აქვს ბარათით მოსარგებლეს.“

„46[1]. ბარათზე fallback ფუნქციის დაშვების შემთხვევაში ბარათს ეცვლება პროფილი, რომელიც გულისხმობს ბარათზე დაცვის მექანიზმების მოხსნას, რომლის შემდეგაც პოს-ტერმინალით შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბარათის ნომრის აკრეფით ტრანზაქციის განხორციელება. ბარათის პროფილის ცვლილების შემთხვევაში fallback ფუნქციის დაშვება ასევე მოიცავს CVV2/CVC2 კოდის ფუნქციის გათიშვას. ზემოთ აღნიშნული შეცვლილი პროფილი ბარათს ენიჭება მოლოდ 24 საათით. პროფილის ცვლილებიდან 24 საათის შემდეგ ბარათი ავტომატურ რეჟიმში დაბრუნდება ცვლილებამდე არსებულ პროფილზე.“

„49. ბარათზე ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება ბარათის მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. ცვლილების მოთხოვნით ბარათის მფლობელს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ფილიალს/სერვის ცენტრს/სერვის პუნქტს. გამონაკლისი არის მხოლოდ ბარათზე ძირითადი ანგარიშის ცვლილება (გარდა ვიზა ბიზნეს ბარათისა), ბარათის დაბლოკვა და სტოპ-სიაში ჩასმა, ბარათზე დღიური განაღდების/გადახდების ლიმიტის გაზრდა (გარდა ვიზა ბიზნეს ბარათისა), რომლ(ებ)იც ასევე შესაძლებელია სატელეფონო ზარის საშუალებით, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: *2222 +995 32 220-22-22, +995 599 214 214 - **მხოლოდ 09:00 საათიდან 22:00 საათამდე.**“

<u>8. საბანკო მომსახურების პირობების მე-17 მუხლი (ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათი) ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:</u> „

1. ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათის („ბარათი“) მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.
2. ბარათი შეიძლება იყოს „ვიზას“ (მათ შორის „ვიზა ბიზნესი“), “მასტერქარდის”, ან ლოკალური ტიპის - შემნახველი ბარათი. ვიზა ბიზნეს ბარათი არ გაიცემა არამეწარმე ფიზიკურ პირზე.
3. ბარათი სადებეტო ტიპისაა.

4. კლიენტისთვის ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული.
5. ბარათზე ხდება მიმდინარე და/ან შემნახველი ანაბრის ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება. ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ქონდეს მიმდინარე ან შემნახველი ანაბრის ანგარიშ(ებ)ი.
6. ბარათზე შესაძლებელია არაუმეტეს რვა ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც წარმოდგენილი შეიძლება იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი შვიდი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი ბარათის შეკვეთის დროს:
   - **ძირითადი საბარათე ანგარიში** –ვიზას და მასტერქარდის ტიპის ბარათებზე ძირითადი ანგარიში შეიძლება იყოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიში, ხოლო შემნახველ ბარათზე - მხოლოდ შემნახველი ანაბრის ანგარიში.
   - **დამატებითი საბარათე ანგარიში** –ვიზას და მასტერქარდის ტიპის ბარათებზე დამატებითი ანგარიშები შეიძლება იყოს როგორც მიმდინარე, ასევე შემნახველი ანაბრის ანგარიში, ხოლო შემნახველ ბარათზე - მხოლოდ შემნახველი ანაბრის ანგარიში.“

<u>9. საბანკო მომსახურების პირობების მე-18 მუხლს (ბიზნეს ბარათი) შეეცვალა დასახელება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:</u>

„მუხლი 18. იურიდიული პირის პლასტიკური ბარათი
1. იურიდიული პირის პლასტიკური ბარათი („ბარათი“) შეიძლება იყოს ვიზა ბიზნეს ბარათი ან ლოკალური ტიპის - სადეპოზიტო ბარათი.
2. ბარათის მფლობელი არის იურიდიული პირი, რომლის საბარათე ანგარიშების განკარგვაც ხდება ბარათით, ხოლო ბარათით მოსარგებლე არის ბარათის მფლობელსა და ბანკს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომლის სახელი და გვარი იქნება ამოტვიფრული ბარათზე და რომელიც შეძლებს ბარათით სარგებლობას. ბარათზე მოსარგებლის სახელის და გვარის გარდა ამოტვიფრული იქნება იურიდიული პირის დასახელება.
3. ვიზა ბიზნეს ბარათი სადებეტო ტიპისაა, რომელიც ბარათით მოსარგებლეს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის (ბარათის მფლობელის) საბარათე ანგარიში და შეასრულოს ნაღდი თანხის შეტანა/გატანის ოპერაციები. ხოლო სადეპოზიტო ბარათით მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ ნაღდი თანხის შეტანა მიმდინარე ანგარიშზე პროკრედიტ ბანკის ბანკომატის საშუალებით.
4. შეკვეთილი და დამზადებული ბარათის და პინ-კოდის მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ბარათით მოსარგებლეს.
5. კოდური კითხვა-პასუხი ბარათით მოსარგებლისათვის ცნობილი ხდება მხოლოდ ბარათის და პინ კოდის მიღების დროს. ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე სარგებლობენ ერთი და იგივე კოდური კითხვა-პასუხით და ეკრძალებათ ამ ინფორმაციის სხვა პირისთვის გადაცემა.
6. ბარათის მფლობელს შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის ბარათების შეკვეთა.
7. ბარათზე ხდება საბარათე ანგარიშების მიმაგრება. ბარათით მომსახურებისთვის ბარათის მფლობელს სს „პროკრედიტ ბანკში“ გახსნილი უნდა ქონდეს მიმდინარე ან მიმდინარე და სპეციალური საბარათე ტიპის ანგარიშები.

8. ბარათის მფლობელის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ერთ საბარათე ანგარიშზე მიმაგრებული იყოს რამდენიმე ბარათი. ერთ ბარათზე შესაძლებელია მაქსიმუმ რვა საბარათე ანგარიშის მიმაგრება, რომლ(ებ)იც წარმოდგენილი შეიძლება იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი შვიდი არის დამატებითი ანგარიშები.
   - **ძირითადი საბარათე ანგარიში** –ვიზა ბიზნეს ბარათზე ძირითადი ანგარიში შეიძლება როგორც მიმდინარე, ასევე სპეციალური საბარათე ანგარიში, ხოლო სადეპოზიტო ბარათზე - მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
   - **დამატებითი საბარათე ანგარიში** –ვიზა ბიზნეს ბარათზე დამატებითი ანგარიში შეიძლება როგორც მიმდინარე, ასევე სპეციალური საბარათე ანგარიში, ხოლო სადეპოზიტო ბარათზე - მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
9. იურიდიული პირის საბარათე ანგარიშზე ბარათით შესაძლებელია როგორც თანხის განკარგვა, ასევე თანხის შეტანა, გარდა სპეციალური საბარათე ანგარიშისა, რომელიდანაც დაშვებულია მხოლოდ თანხების განკარგვა. სპეციალურ საბარათე ანგარიშზე თანხის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ ბარათის მფლობელის მიმდინარე ანგარიშიდან უნაღდო ანგარიშსწორებით ან/და უნაღდო კონვერტაციით.
10. სპეციალური საბარათე ანგარიშზე თანხის განთავსების მიზნობრიობა შეზღუდულია და მასზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ამავე საბარათე ანგარიშის შევსების მიზნით.
11. სპეციალურ საბარათე ანგარიშიდან თანხის გადატანა ბარათის მფლობელს შეუძლია მხოლოდ პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების ან/და უნაღდო კონვერტაციის გზით.
12. ბარათით მოსარგებლეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ მის სარგებლობაში არსებული ბარათ(ებ)ით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.
13. იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი ვიზა ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირის მიერ ბარათით შესრულებულ ტრანზაქციებზე მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები:
   - თუ ვიზა ბიზნეს ბარათი დამზადებულია ორგანიზაციის უფლებამოსილ პირზე, მაშინ მას ბარათით საშუალება აქვს განკარგოს თანხები მიმდინარე და სპეციალური საბარათე ანგარიშებიდან და ნაღდი თანხა შეიტანოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიშზე.
   - თუ ვიზა ბიზნეს ბარათი დამზადებულია ორგანიზაციის თანამშრომელზე (არაუფლებამოსილ პირზე), მაშინ მას ბარათით საშუალება აქვს განკარგოს თანხები მხოლოდ სპეციალური საბარათე ანგარიშიდან და ნაღდი თანხა შეიტანოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიშზე.
14. იურიდიული პირის უფლებამოსილ პირზე დასაშვებია ორივე ტიპის შეზღუდვის მქონე ბარათის დამზადება.“

<u>10. საბანკო მომსახურების პირობების მე-19 მუხლის (ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელო) მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:</u>

„4. კოდური კითხვა–პასუხი:

- ბარათის შეკვეთის დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის შეთანხმება, რომლის გარეშე პირისათვის გამჟღავნება იკრძალება.

- კოდური კითხვა-პასუხი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება ბანკის მიერ ტელეფონის საშუალებით ბარათის შემკვეთის/ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციისთვის.“

„5. პლასტიკური ბარათის სავაჭრო ობიექტებში და ბანკომატში გამოყენება:

5.1. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შენაძენის საფასურის პლასტიკური ბარათით გადახდა ხორციელდება პოს-ტერმინალის მეშვეობით. პროკრედიტ ბანკის ყველა პოს-ტერმინალი კითხულობს როგორც ჩიპს, ასევე მაგნიტურ ზოლს. პროკრედიტ ბანკის პოს-ტერმინალით გადახდისას ბარათის მფლობელმა ტრანზაქცია უნდა დაადასტუროს პინ-კოდით, რაც ზრდის ბარათის მფლობელისა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის თანხების უსაფრთხოების ხარისხს.

- კლიენტმა აუცილებელია მოითხოვოს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიქტებში პლასტიკური ბარათით საგადამხდელო ოპერაციები განხორციელდეს კლიენტის თანდასწრებით და არ გაატანოს ბარათი მომსახურე პერსონალს.
- შენაძენის საფასურის გადახდის დროს ტრანზაქციის პინ-კოდით დადასტურებისას კლიენტმა უნდა გააკონტროლოს ქვითარზე მითითებულ თანხის, ვალუტისა და თარიღის სისწორე და მოითხოვოს ქვითრის ასლი. კლიენტი უნდა დარწმუნდეს, რომ პინ-კოდის შეყვანისას კლიენტის კონფიდენციალურობის უფლებები არ ირღვევა.
- ბანკომატში ბარათის გამოსაყენებლად აუცილებელია პინ-კოდის შეყვანა. ბანკომატი არ უნდა იყოს გარეგნულად დაზიანებული და ბანკომატის კორპუსზე არ უნდა იყოს დამონტაჟებული დამატებითი მოწყობილობები.“

„9. პროკრედიტ ბანკის ბარათები აღჭურვილია შემდეგი დამცავი ნიშნებით:





”

<u>11. საბანკო მომსახურების პირობების მე-20 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:</u>

„9. ინტერნეტ ბანკინგში მომხმარებელთა რაოდენობა განსაზღვრულია და შეადგენს მაქსიმუმ 10 (ათი) მომხმარებელს, აქედან 1 (ერთი) ძირითადი და 9 (ცხრა) დამატებითი მომხმარებელი.

10. ინტერნეტ ბანკინგში შესაძლებელია ჯამურად მაქსიმუმ **TAN**-ის საგენერაციო 10 (ათი) ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების დარეგისტრირება.
11. ბანკი ანიჭებს კლიენტს (ძირითად მომხმარებელს) მომხმარებლის სახელს და ერთჯერად პაროლს ინტერნეტ ბანკინგში პირველად შესასვლელად და დაუყონებლივ უგზავნის მას პერსონალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. კლიენტს შეუძლია შევიდეს ინტერნეტ ბანკინგში მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღებისთანავე. კლიენტი ვალდებულია შეცვალოს ერთჯერადი პაროლი ინტერნეტ ბანკინგში შესვლისთანავე."

12. საბანკო მომსახურების პირობების 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება ასევე იმ შემთხვევაში, თუ დაიხურა ხელშეკრულების ძირითადი ანგარიში და/ან ის ანგარიში, რომელიც გახსნილია პროკრედიტ ბანკში და რომელზეც ხდება თანხის გადარიცხვა."

13. საბანკო მომსახურების პირობების 29-ე მუხლის (მომსახურება ონლაინ ანგარიშის პაკეტით) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. ხელშეკრულების/ წინამდებარე დოკუმენტის და "ონლაინ ანგარიშის პაკეტისათვის დადგენილი ტარიფებისა და სხვა პირობების" დებულებებს ენიჭებათ უპირატესი ძალა ამ მუხლის მე–4 პუნქტში მითითებულ ხელშეკრულებათა/შეთანხმებათა მიმართ. ის საკითხები და ასევე ის ტარიფები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით/წინამდებარე დოკუმენტით და "ონლაინ ანგარიშის პაკეტისათვის დადგენილი ტარიფებით და სხვა პირობებით", განისაზღვრება თითოეულ საბანკო მომსახურებაზე/პროდუქტზე გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით და ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტული ტარიფებით."